საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/101 "31" მაისი 2019 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**გ. არევაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 12 ნოემბრის №1/272 გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე გიორგი არევაძეს, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, 2018 წლის 17 ნოემბრიდან გაუგრძელდა მოსამართლის უფლებამოსილება მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის №1/68 გადაწყვეტილებით, გიორგი არევაძე 2019 წლის 3 ივნისიდან გამწესებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 3 ივნისიდან:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გ. არევაძისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 12 ნოემბრის №1/272 გადაწყვეტილება.
2. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გიორგი არევაძე გათავისუფლდეს მოსამართლის თანამდებობიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი